გარემოს დაცვისა და სოფლის
მეურნეობის მინისტრი

14 თებერვალი 2024

N 2-143

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2018 წლის 29 ნოემბრის N 2-968 ბრძანების, 2019 წლის 14 მაისის N2-405 ბრძანების, 2019 წლის 23 სექტემბრის N2-914 ბრძანებისა და 2019 წლის 27 სექტემბრის N 2-935 ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ 2022 წლის 17 მარტის საქართველოს კანონის (№1445) მე-2 მუხლის მე-2 ნაწილის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლისა და სსიპ - გარემოს ეროვნული სააგენტოს 2024 წლის 29 იანვრის N21/622 წერილის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ძალადაკარგულად გამოცხადდეს:

ა) ,,სს „საქართველოს რკინიგზის“ თბილისი-მახინჯაურის მთავარი სარკინიგზო მაგისტრალის (სადგური „მოლითის“ და მე-8 გვირაბის დასავლეთ პორტალს შორის არსებული მონაკვეთის მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტში შეტანილ ცვლილებებზე) მოდერნიზებასა და ექსპლუატაციაზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2018 წლის 29 ნოემბრის N 2-968 ბრძანება;

ბ) ..სს „საქართველოს რკინიგზის“ „თბილისი-ბათუმის“ მაგისტრალური სარკინიგზო ხაზის „ხაშური-ხარაგაული-ზესტაფონის“ მოდერნიზაციაზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 14 მაისის N2-405 ბრძანება;

გ) ,,სს „საქართველოს რკინიგზის“ „თბილისი-ბათუმის“ მაგისტრალური სარკინიგზო ხაზის „ხაშური-ხარაგაული-ზესტაფონის“ მოდერნიზაციის პროექტის ფარგლებში დაგეგმილი ახალი სარკინიგზო ხაზის 17+100 კმ-23+000 კმ-იანი მონაკვეთის პროექტში შეტანილ ცვლილებებთან დაკავშირებულ მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 23 სექტემბრის N2-914 ბრძანება;

დ) სს „საქართველოს რკინიგზის“ „თბილისი-ბათუმის“ მაგისტრალური სარკინიგზო ხაზის „ხაშური-ხარაგაული-ზესტაფონის“ მონაკვეთის მოდერნიზაციის პროექტის ფარგლებში დაგეგმილი მე-9 გვირაბის დასავლეთ პორტალის პროექტში შეტანილ ცვლილებებთან დაკავშირებულ მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 27 სექტემბრის N 2-935 ბრძანება.

2. ამ ბრძანების ასლი გაეგზავნოს: სსიპ - გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრ, სსიპ - გარემოს ეროვნულ სააგენტოს, სსდ - გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტს და სს „საქართველოს რკინიგზას“.

3. ეს ბრძანება ძალაში შევიდეს სს „საქართველოს რკინიგზას“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე.

4. ამ ბრძანების გამოცემიდან 2 დღის ვადაში აღნიშნული ბრძანება განთავსდეს სსიპ - გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე.

5. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი №64), მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში

ოთარ შამუგია

მინისტრი